



საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭოს გადაწყვეტილება
ქ. თბილისი



26/04/2024

MES 3 24 0000530266

სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „ინფორმატიკის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე არაგეგმიურ მონიტორინგთან დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის შესახებ

1. გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივისა და ფუძემდებელი

1.1. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების“ აკრედიტაციის დებულების 31-ე მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად, აკრედიტაციის პირობების შესრულების შემოწმება ხორციელდება გეგმიური და/ან არაგეგმიური მონიტორინგის გზით.

1.2. აკრედიტაციის დებულების 31-ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, არაგეგმიური მონიტორინგი ხორციელდება საბჭოს შუამდგომლობით, ცენტრში საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტების შესრულებასთან დაკავშირებით წარდგენილი საჩივრის საფუძველზე და/ან ცენტრის ინიციატივით.

1.3. აკრედიტაციის დებულების 31-ე მუხლის 25-ე პუნქტის თანახმად, იმ შემთხვევაში თუ, აკრედიტაციის პირობების შესრულების შემოწმების შედეგად დადგინდება, რომ დაწესებულების მიერ ყველა რეკომენდაცია შესრულებულია, საბჭო იღებს გადაწყვეტილებას მონიტორინგთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის თაობაზე.

2. აღწერილობითი ნაწილი და დასაბუთება

2.1. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „ინფორმატიკის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2021 წლის 27 მაისის №491328 გადაწყვეტილებით მიენიჭა აკრედიტაცია.

2.2. საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2023 წლის 08 აგვისტოს სხდომაზე, განხილული იყო სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „ინფორმატიკის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე გეგმიური მონიტორინგის შედეგები. №1024065 ოქმის საფუძველზე სსიპ - საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს განესაზღვრა 60 დღიანი ვადა „ინფორმატიკის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამასთან მიმართებით დარჩენილი რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოსადგენად.

2.3. სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში (შემდგომში - ცენტრი) სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის 2023 წლის 23 ოქტომბრის №1419518 განაცხადების საფუძველზე, ჩატარდა ადმინისტრაციული წარმოება. აღნიშნული ადმინისტრაციული წარმოება შეეხებოდა სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „ინფორმატიკის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის დარჩენილი რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშს.

2.4. „აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შექმნისა და სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „ინფორმატიკის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე არაგეგმიური მონიტორინგის განხორციელების შესახებ“ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) 2023 წლის 07 დეკემბრის №1671884 ბრძანების შესაბამისად, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფმა შეაფასა „ინფორმატიკის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა.

2.5. ექსპერტთა ჯგუფის მიერ წარმოდგენილი დასკვნის მიხედვით საგანმანათლებლო პროგრამა შეფასდა შემდეგნაირად:

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არარის შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	●			
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	●			
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	არ შეფასდა			

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	არ შეფასდა			
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	არ შეფასდა			

2.6. საბჭომ შეისწავლა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიცია.

2.7. ზეპირი მოსმენა გაიმართა 2024 წლის 12 აპრილს. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, ასევე სხდომაზე დაინტერესებული მხარის ზეპირი პოზიციის მოსმენის საფუძველზე, საბჭომ სრულად გაიზიარა ექსპერტთა შეფასება.

3.სარეზოლუციონაწილი

აკრედიტაციის დებულების 27² მუხლის პირველი პუნქტის, 31-ე მუხლის 25-ე პუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ „სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №233 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, აკრედიტაციის საბჭომ, კენჭისყრის შედეგად, 13 ხმით არცერთის წინააღმდეგ,

გადაწყვეტა:

1. შეწყდეს სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „ინფორმატიკის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის მონიტორინგთან დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოება.
2. საგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცეს უფლება „ინფორმატიკის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა განხორციელდეს დანართი №1-ით განსაზღვრული მონაცემების მიხედვით;
3. ცნობილ იქნას აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა „ინფორმატიკის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად (დანართი №2).
4. საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2024 წლის 26 აპრილის №476447 სხდომის ოქმის №2 ნაწილი ცნობილ იქნას ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად (დანართი №3).
5. საბჭოს გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს 2024 წლის 26 აპრილს.
6. საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 180-ე მუხლის პირველი ნაწილისა და „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“

საქართველოს კანონის 24¹ მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შეიძლება გასაჩივრდეს სააპელაციო საჩივრის სააპელაციო საბჭოში წარდგენის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, მ. ალექსიძის II შესახვევი №2, ან თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64, აღნიშნული გადაწყვეტილებისა და მისი დასაბუთებითი ნაწილების (დანართი №1, დანართი №2, დანართი №3) ცენტრის ვებ-გვერდზე (www.eqe.ge) გამოქვეყნების დღიდან, ერთი თვის ვადაში.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული
ცენტრი
უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების
აკრედიტაციის საბჭო
საბჭოს წევრი
დურული ციური



სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული
ცენტრი
უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების
აკრედიტაციის საბჭო
სხდომის თავმჯდომარე
თუთბერიძე გოჩა



№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ინფორმატიკა
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	27/05/2021, 491328
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	
6	უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
7	დაშვების წინაპირობები	
8	კვალიფიკაციის დონე	მე-7
9	კვალიფიკაციის დასახელება	ინფორმატიკის მაგისტრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	0613 პროგრამული უზრუნველყოფისა და აპლიკაციების განვითარება და ანალიზი
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	120
14	განხორციელების ადგილი	სასწავლო კორპუსი N6, მ.კოსტავას ქ. N77, თბილისი, 0175, საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	
16	გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი	2024 წლის 26 აპრილი
17	აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოსადგენად/მონიტორინგის განსახორციელებლად განსაზღვრული ვადა	

18	აკრედიტაციის ვადის გასვლის თარიღი	2025 წლის 31 დეკემბერი
----	--------------------------------------	------------------------